KA030117760418117

№ 01-24816 **16 / ნოემბერი / 2017 წ.**

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ნატო დოლიძეს

ქალბატონო ნატო,

სოციალური დაცვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა თქვენი 2017 წლის 13 ნოემბრის N01-24563 წერილით წარმოდგენილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი, რომელიც ეხება მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს ქ. თბილისში დაგეგმილ საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის პოლიტიკური კონსულტაციების გამართვის საკითხს.

წარმოგიდგენთ სოციალური დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულებების ჩამონათვალს:

- • შეთანხმება ,,საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და **აზერბაიჯანის** რესპუბლიკის შრომისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სამინისტროს შორის შრომისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ძალაშია 2000 წლის 28 ივლისიდან.
- • შეთანხმება ,,საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა **და აზერბაიჯანის** რესპუბლიკის მთავრობას შორის მოქალაქეთა უფლებების გარანტიების შესახებ საპენსიო უზრუნველყოფის დარგში“ ძალაშია 03.02.1993 წლიდან.

აქვე დამატებით აღვნიშნავთ, რომ აზერბაიჯანის მხარესთან ზემოხსენებული პოლიტიკური კონსულტაციების ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრებზე განსახილველი საკითხები სოციალური დაცვის დეპარტამენტს არ გააჩნია.

პატივისცემით,

სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი, თეა გვარამაძე
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი